## რა არის არასწორი ამ სურათზე?

**წაიკითხე საქმეების 9:36—41.** რა სამი რამ არის ამ სურათზე არასწორი? დაწერე ქვემოთ შენი პასუხები და გააფერადე სურათი.

1 ..................................................

2 ..................................................

3 ..................................................

დასაფიქრებლად: **კიდევ რომელი სახელითაა ტაბითა ცნობილი, და რას ნიშნავს მისი სახელები?** მინიშნება: წაიკითხე წიგნის, „საფუძვლიანად დაამოწმეთ ღვთის სამეფოზე“, 67-ე გვერდზე მოცემული პირველი აბზაცი. **მარტო საკუთარ თავზე ფიქრობდა ტაბითა? ახსენი.** მინიშნება: წაიკითხე საქმეების 9:36, 39. **როგორ გამართლდა ლუკას 6:38-ში ჩაწერილი იესოს სიტყვები ტაბითაზე? როგორ შეგიძლია მიჰბაძო მას?** მინიშნება: წაიკითხე ეფესოელების 4:28; იაკობის 2:14—17.

დავალება მთელი ოჯახისთვის: **ოჯახის თითოეულმა წევრმა იფიქროს იმაზე, თუ ვის გაუკეთებდა საჩუქარს. შემდეგ განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი და პატარა საჩუქარი გაუკეთოს თავის რჩეულს. მაგალითად, შეუძლიათ ბარათი ან სანიშნი აჩუქონ, რომელსაც თანდართული ექნება ბიბლიური მუხლი.**



www.jw.org © 2011 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

**1.** პეტრე არ უნდა იდგეს ლოცვის დროს, ის მუხლმოდრეკილი უნდა ლოცულობდეს. **2.** ქალები (ქვრივები) მას ტაბითას შეკერილ ტანსაცმელს უნდა უჩვენებდნენ და არა ქოთნებს. **3.** პეტრე ოთახში მარტო უნდა ლოცულობდეს და არა ხალხის თანდასწრებით.